



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
**ბ რ ძ ა ნ მ ბ ა**



№ 4

„ 06 „ 05 2019 წ.

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის ასარჩევად არჩევნების დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტის, 22- მუხლი პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ემუხლის მე-2 ნაწილის, 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-4 მუხლის პირველი, მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ნესტან სულავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, მის წევრად აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის ასარჩევად, ამავე უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაინიშნოს არჩევნები.
2. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 8 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით.
3. არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 23 მაისს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ.
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების გადაგზავნა შესაბამისი ფაკულტეტისთვის, საარჩევნო კომისიისთვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებისთვის.
7. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებას აღნიშნული ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

8. საფუძველი: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 14 მარტის განცხადება N304037; წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 19 დეკემბრის დადგენილება N41.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე